საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის
სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №1-1/31

2026 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებისა და შესაბამისი გამოცდის ჩატარების წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სარკინიგზო კოდექსის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 29 ივნისის №1-1/250 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებისა და შესაბამისი გამოცდის ჩატარების წესები და პირობები“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი	ერეკლე კეჟერაშვილი

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებისა და შესაბამისი გამოცდის ჩატარების წესები და პირობები

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

„სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლებისა და შესაბამისი გამოცდის ჩატარების წესები და პირობები“ (შემდგომ – წესი) განსაზღვრავს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის მისაღებად საჭირო სწავლების, სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების პროგრამისა და სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების წესებს, პროცედურებს, პირობებსა და გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის, წესში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო;

ბ) **სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტი (შემდგომ – სპეციალისტი)** – ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს სააგენტოს მიერ გაცემულ სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის მოქმედ სერტიფიკატს;

გ) **განმცხადებელი** – დაინტერესებული პირი, რომელსაც სურს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მიიღოს სპეციალისტის სერტიფიკატი;

დ) **სპეციალისტის სწავლება** – სწავლება, რომლის მიზანია პირისთვის შესაბამისი კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება სპეციალისტის პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად და რომლის წარმატებით გავლის შედეგად, გაიცემა სწავლების სერტიფიკატი;

ე) **სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელი პირი (შემდგომ – სწავლების განმახორციელებელი პირი)** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლება;

ვ) **სწავლების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი (შემდგომ – სწავლების სერტიფიკატი)** – სწავლების განმახორციელებელი პირის მიერ გაცემული

სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ პირმა წარმატებით გაიარა სპეციალისტის სწავლება;

ზ) **სპეციალისტის სერტიფიკატი (შემდგომ – სერტიფიკატი)** – სააგენტოს მიერ სერტიფიკატის მისაღები გამოცდის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე გაცემული სერტიფიკატი;

თ) **გამოსაცდელი** – პირი, რომელიც აბარებს სერტიფიკატის მისაღებ გამოცდას;

ი) **სერტიფიკატის მისაღები გამოცდა (შემდგომ – გამოცდა)** – სააგენტოს მიერ ორგანიზებული თეორიული გამოცდა ტესტური და პრაქტიკული დავალებით, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პირი მიიღებს სერტიფიკატს;

კ) **ტესტური დავალება** – ტესტური ტიპის კითხვა, რომელიც საჭიროებს ერთი სწორი პასუხის არჩევას;

ლ) **პრაქტიკული დავალება** – ღია კითხვის ტიპის სავარჯიშო;

მ) **საფასური** – ამ წესის შესაბამისად სააგენტოს მიერ გამოცდაზე დაშვებისათვის მის ანგარიშზე გადარიცხული სავალდებულო თანხა, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნორმატიული აქტით;

ნ) **სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ რეგულაცია (RID) (შემდგომ – RID)** – „საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ“ 1980 წლის 9 მაისის კონვენციის (კოტიფი) C დანართი − სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვის შესახებ რეგულაცია.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II

სპეციალისტის სწავლება და გამოცდა

მუხლი 3. სპეციალისტის სწავლების პირობები

1. სპეციალისტის სწავლება უზრუნველყოფს სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან, შეფუთვასთან, დატვირთვასთან, გადმოტვირთვასთან და დახარისხებასთან დაკავშირებული თანმდევი რისკების და სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ცოდნის მიღებას, ამ წესის, RID-ისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. სპეციალისტის სწავლება უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, ამ წესის დანართ №1-ით გათვალისწინებულ თემატიკას.

3. სპეციალისტის სწავლების ენა არის ქართული.

4. სპეციალისტის სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 48 აკადემიური საათით.

5. დაინტერესებულ პირზე შესაბამისი სწავლების განმახორციელებელ პირთან სწავლებისა და მასთან სწავლების წარმატებით გავლის დამადასტურებელი სასერტიფიკატო შეფასების წარმატებით გავლის საფუძველზე, სწავლების განმახორციელებელი პირი გასცემს სწავლების სერტიფიკატს, რომლის საფუძველზეც, ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია გავიდეს გამოცდაზე.

6. სპეციალისტის სწავლებაზე დაიშვება პირი 18 წლის ასაკიდან, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობის საფუძველზე.

მუხლი 4. გამოცდის წესები

1. გამოცდის მიზანია, განმცხადებლის შემოწმება, გააჩნია თუ არა ცოდნის საჭირო დონე სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან, შეფუთვასთან, დატვირთვასა და გადმოტვირთვასთან დაკავშირებული რისკების, ასევე იმ მოვალეობების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია RID-ით და საქართველოს კანონმდებლობით.

2. გამოცდა უნდა მოიცავდეს სულ მცირე ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრულ საკითხებს.

3. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს სააგენტო, რომელიც ადგენს გამოცდის ჩატარების თარიღს და აქვეყნებს ოფიციალურ ვებგვერდზე (rta.gov.ge).

4. განმცხადებელმა გამოცდაზე დასაშვებად სააგენტოში უნდა წარადგინოს სააგენტოს დირექტორის ნორმატიული აქტით დამტკიცებული „სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის გაცემის, განახლების, აღდგენის,

მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესებით, პირობებითა და სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სერტიფიკატის ფორმის“ მიხედვით განსაზღვრული განცხადება და დოკუმენტაცია.

5. სააგენტოში ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, განმცხადებელი ინფორმაციას მიიღებს საგამოცდო დროისა და ადგილის შესახებ იმ საკონტაქტო ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მითითებული ჰქონდა განცხადებაში. საგამოცდო სისტემაში განმცხადებლის ავტორიზაცია მოხდება განმცხადებლის სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მეშვეობით.

6. გამოცდა შედგება ორი ნაწილისგან: ტესტური დავალებები და პრაქტიკული დავალებები. გამოცდა წარმატებით ჩაბარებულად ჩაითვლება გამოცდის ორივე ნაწილში ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული ბარიერის გადალახვის შემთხვევაში.

7. გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე, ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული კანდიდატი გამოცდას აბარებს დამოუკიდებლად, სხვა პირის დახმარების ან სხვა ნებისმიერი დამხმარე საცნობარო მასალების გარეშე, ისე რომ ხელი არ შეუშალოს გამოცდის მსვლელობას. გამოსაცდელი ეცნობა გამოცდის წესებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი დამხმარე საცნობარო მასალის გამოყენების აკრძალვის ვალდებულება არ ვრცელდება გამოცდის პრაქტიკული დავალებების ნაწილზე, რომელზედაც დასაშვებია გამოსაცდელმა ელექტრონულ ფორმატში შეუზღუდავად გამოიყენოს RID-ის ქართულენოვანი ვერსია.

9. გამოსაცდელისთვის ტესტური დავალების ფარგლებში, ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა 40 ტესტური დავალება. ტესტური დავალების ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შემდეგ საკითხებს:

ა) ზოგადი საპრევენციო და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

ბ) სახიფათო ტვირთების კლასიფიკაცია;

გ) შეფუთვის ზოგადი პირობები (მათ შორის, ცისტერნებთან დაკავშირებული);

დ) მარკირება და საშიშროების ნიშნების განთავსება;

ე) სატრანსპორტო დოკუმენტებში მითითებული ინფორმაცია;

ვ) პერსონალი, პროფესიული სწავლება;

ზ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

თ) წერილობითი ინსტრუქციები;

ი) სატრანსპორტო აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

კ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და დამუშავების პირობები.

10. გამოსაცდელისთვის პრაქტიკული დავალების ფარგლებში, ელექტრონულ ფორმატში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა 5 შემთხვევის ანალიზი/სიტუაციური ამოცანა, იმ მიზნით რომ გამოსაცდელმა წარმოაჩინოს სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის სიღრმისეული ცოდნა, მათ შორის სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების სპეციფიკა, რისკის შეფასება სარკინიგზო შემთხვევებისა და ინციდენტების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით, ამავდროულად სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რითაც გამოსაცდელმა უნდა აჩვენოს, თუ როგორ მიიღებს გადაწყვეტილებებს სახიფათო ტვირთის უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

11. გამოცდის თითოეულ ტესტურ დავალებაზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. გამოცდის თითოეულ პრაქტიკულ დავალებაზე სწორი პასუხი ფასდება 5 ქულით.

12. გამოცდის ტესტური დავალების ნაწილი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელმა დააგროვა არანაკლებ 30 ქულა. გამოცდის პრაქტიკული დავალების ნაწილი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ გამოსაცდელმა დააგროვა არანაკლებ 15 ქულა.

13. გამოცდის ხანგრძლივობა ტესტური დავალებების შემთხვევაში განისაზღვრება 120 წუთით, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში – 180 წუთით.

14. გამოსაცდელი, გამოცდის ტესტური დავალებების შედეგს გაეცნობა ელექტრონული ფორმით ტესტირების დასრულებისთანავე, ხოლო პრაქტიკულ დავალებების შედეგი საგამოცდო ოქმის საფუძველზე, 5 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

15. თუ გამოსაცდელი ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული გამოცდის ტესტური დავალების ჩაბარებისათვის საჭირო ზღვარს, იგი აღარ დაიშვება გამოცდის პრაქტიკული დავალებების ნაწილზე და უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს გამოცდაზე განმეორებით დაშვების განცხადებით.

16. თუ გამოსაცდელი ჩააბარებს გამოცდის ტესტური დავალების ნაწილს, მაგრამ ვერ გადალახავს ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული გამოცდის პრაქტიკული დავალების ჩაბარებისათვის საჭირო ზღვარს, ასეთ შემთხვევაში პირი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს გამოცდის მხოლოდ პრაქტიკული დავალებების ნაწილზე განმეორებით დაშვების განცხადებით არაუმეტეს სამჯერ.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში გამოცდის პრაქტიკულ დავალებაზე წარუმატებელი შედეგის დადგომის შემთხვევაში, პირმა ხელახლა უნდა ჩააბაროს გამოცდის ტესტური დავალებების ნაწილი.

18. გამოცდის ჩატარებისა და გასაჩივრების წესები და პირობები განისაზღვრება ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად.

დანართი №1

სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების თემატიკა

1. სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის სწავლება უნდა ითვალისწინებდეს, სულ მცირე, შემდეგ თემებს:

ა) სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვასთან დაკავშირებული შემთხვევების შედეგების ტიპები და მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები (პრევენციისა და უსაფრთხოების ზოგადი ზომები);

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ბ.ა) სახიფათო ტვირთების კლასიფიკაცია (ხსნარებისა და ნარევების კლასიფიკაციის პროცედურა, ნივთიერებათა ჩამონათვალის სტრუქტურა (RID-ის 3.2 თავის A და B ცხრილი), სახიფათო ტვირთების კლასები და მათი კლასიფიკაციის პრინციპები, გადასაზიდი სახიფათო ტვირთების თვისებების, მათ შორის, ფიზიკური, ქიმიური და ტოქსიკოლოგიური მახასიათებლების კლასიფიცირებასთან დაკავშირებული პროცედურები);

ბ.ბ) შეფუთვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები, ცისტერნებთან დაკავშირებული დებულებები (ტიპები, კოდები, მარკირება, კონსტრუქციული მახასიათებლები, საწყისი და პერიოდული ინსპექტირება და გამოცდა);

ბ.გ) მარკირების და საშიშროების ნიშნების, საინფორმაციო ტაბლოებისა და ნარინჯისფერი ტაბლოების განთავსება (შეფუთვების მარკირება და საშიშროების ნიშნების განთავსება, საინფორმაციო და ნარინჯისფერი ტაბლოების განთავსება და მოხსნა);

ბ.დ) სატრანსპორტო დოკუმენტში მისათითებელი მონაცემები (აუცილებელი ინფორმაცია);

ბ.ე) ტვირთის გაგზავნის მეთოდი და გადაზიდვასთან დაკავშირებული შეზღუდვები (სრული დატვირთვით გადაზიდვა, ნაყარი ტვირთის გადაზიდვა, ნაყარი ტვირთის საშუალო ტვირთამწეობის კონტეინერებით, კონტეინერებით და ცისტერნებით გადაზიდვა);

ბ.ვ) მგზავრების ტრანსპორტირება;

ბ.ზ) ერთობლივ დატვირთვასთან დაკავშირებული აკრძალვები და სიფრთხილის ზომები;

ბ.თ) ტვირთების სეგრეგაცია;

ბ.ი) ერთი ვაგონით ან დიდი კონტეინერით გადასატან მაქსიმალურ საერთო რაოდენობებთან, შეზღუდულ ოდენობებად და გამოთავისუფლებულ ოდენობებად შეფუთულ სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებული გამონაკლისები;

ბ.კ) ტვირთების დამუშავება და დასაწყობება (შეფუთვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა – შევსების კოეფიციენტები – დასაწყობება და სეგრეგაცია);

ბ.ლ) გასუფთავება და/ან დეგაზირება შეფუთვის, დატვირთვის წინ და გადმოტვირთვის შემდეგ;

ბ.მ) პერსონალი; პროფესიული სწავლება;

ბ.ნ) სატრანსპორტო საშუალებებზე არსებული დოკუმენტები (სატრანსპორტო დოკუმენტები, წერილობითი ინსტრუქციები/საავარიო ბარათები მემანქანეებისთვის, დადგენილი წესებიდან ნებისმიერი გადახვევის ასლები, სხვა დოკუმენტები);

ბ.ო) წერილობითი ინსტრუქციები (ინსტრუქციებისა და პერსონალის დამცავი აღჭურვილობის გამოყენება);

ბ.პ) საოპერაციო გამონაბოლქვი ან დამაბინძურებელი ნივთიერებების შემთხვევითი გაჟონვა;

ბ.ჟ) სატრანსპორტო აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ბ.რ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო პროცესში გამოყენებული ტერმინები;

ბ.ს) სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მონაწილეები და მათი ვალდებულებები.

2. წინამდებარე სასწავლო თემატიკა არ ვრცელდება მე-7 კლასის სახიფათო ტვირთთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებზე.

3. ეს სწავლების თემატიკა ვრცელდება მხოლოდ სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის სპეციალისტის სწავლების განმახორციელებელ პირზე.

დანართი №2

გამოცდის ჩატარებისა და გასაჩივრების წესები და პირობები

მუხლი 1. გამოცდის ფორმატი

1. გამოსაცდელის გამოცდაზე დაშვება ხორციელდება სააგენტოს მიერ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით.

2. გამოსაცდელთა რაოდენობა განისაზღვრება საგამოცდო ოთახის ფართობისა და აღჭურვილობის, აგრეთვე ყველა გამოსაცდელის ქცევისადმი ზედამხედველობის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3. გამოსაცდელი გამოცდას აბარებს დამოუკიდებლად, სხვა პირის დახმარების ან სხვა ნებისმიერი დამხმარე საცნობარო მასალების გარეშე, გარდა წესით განსაზღვრული შემთხვევისა, ისე რომ ხელი არ შეუშალოს გამოცდის მსვლელობას. გამოსაცდელი გამოცდის დაწყებამდე ეცნობა ამ დანართის მე-4 მუხლით განსაზღვრულ გამოცდაზე მოქცევის წესებს, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

4. გამოსაცდელმა მონიტორზე გამოტანილი თითოეული საგამოცდო ტესტის სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოს და დააფიქსიროს მხოლოდ ერთი პასუხი. ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი – 0 ქულით. გამოსაცდელს უფლება აქვს გამოტოვოს შეკითხვა, რომელსაც გამოცდის მსვლელობის დროს დაუბრუნდება.

5. საგამოცდო პროცესის დასრულების შემდეგ კომპიუტერის მონიტორზე აისახება გამოცდის ტესტურ დავალებებზე გაცემული როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხების რაოდენობა. გამოსაცდელის მიერ საგამოცდო ტესტებზე გაცემული პასუხების შეჯამება და გამოცდის შედეგის შეფასება ხორციელდება სპეციალური პროგრამის მიერ.

6. საგამოცდო პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სათანადოდ მომზადებული კვალიფიციური დამკვირვებლების გუნდი.

მუხლი 2. გამოსაცდელის უფლებები და მოვალეობები

1. გამოცდაზე გამოსაცდელს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი;

ბ) პირადი ჰიგიენის ნივთები;

გ) საჭიროების შემთხვევაში – სხვა ნივთები, დამკვირვებლის წინასწარი თანხმობით.

2. გამოსაცდელმა სამუშაო მაგიდაზე არ უნდა დააწყოს არცერთი ნივთი. წყალი პლასტმასის ბოთლით გამოსაცდელს შეუძლია დადგას იატაკზე.

3. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში გამოსაცდელმა უნდა მიმართოს დამკვირვებელს, მხოლოდ ხელის აწევით.

4. საგამოცდო დავალებებზე მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამკვირვებელი გასცემს შესაბამის მითითებას და კომპიუტერში დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

5. თუ გამოსაცდელი დროზე ადრე დაასრულებს დავალებებზე მუშაობას, ხელის აწევით ანიშნებს დამკვირვებელს, რომელიც ჩაინიშნავს გამოსაცდელის მიერ ტესტურ დავალებებზე მიღებულ ქულას, მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებს გამოსაცდელი საგამოცდო ადგილს.

6. გამოსაცდელი უნდა დაემორჩილოს დამკვირვებლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მოხსნის შესახებ.

მუხლი 3. დამკვირვებლის უფლებები და მოვალეობები

1. დამკვირვებელი წარმართავს გამოცდის მთელ პროცესს, გასცემს მითითებებს საგამოცდო პროცესის დაწყებისა და დასრულების შესახებ.

2. დამკვირვებელი ვალდებულია აუხსნას გამოსაცდელს გამოცდაზე მოქცევის წესები, დაეხმაროს და უპასუხოს გამოსაცდელის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკური ხასიათის შეკითხვებს.

3. გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დამკვირვებელი გამოსაცდელს შეახსენებს გამოცდის მსვლელობიდან დარჩენილ დროს, რათა გამოსაცდელმა დროულად დაასრულოს ტესტზე მუშაობა.

4. დამკვირვებელს უფლება აქვს მისცეს გამოსაცდელს პირველადი გაფრთხილება და მოხსნას იგი გამოცდიდან, თუ კვლავ განაგრძობს გამოსაცდელი იმ ქმედებას, რომელზეც გაფრთხილება მიიღო.

5. დამკვირვებელს უფლება აქვს, არ დაუშვას პირი გამოცდაზე ან მოხსნას იგი გაფრთხილების გარეშე, თუ გამოსაცდელი დაარღვევს ამ დანართის მე-4 მუხლით განსაზღვრულ საგამოცდო წესებს.

მუხლი 4. გამოცდაზე მოქცევის წესები

1. გამოცდაზე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების ან/და ფოტო/ვიდეოაპარატურის გამოყენება;

ბ) გამოცდაზე ნებადართული ნივთების გარდა სხვა ნივთების შეტანა;

გ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლებისა და სხვა მასალების გამოყენება (გარდა წესით განსაზღვრული შემთხვევისა);

დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა გამოსაცდელისთვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

ე) საგამოცდო ადგილის დამკვირვებლის ნებართვის გარეშე დატოვება ან/და საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ გამოსაცდელის აუდიტორიიდან გასვლა გამოცდის სრულად დამთავრებამდე;

ვ) შესაბამისი გამოსაცდელის ნაცვლად გამოცდაზე სხვა გამოსაცდელის ან მესამე პირის გასვლა (შეცდომაში შეყვანის მიზნით ან მის გარეშე);

ზ) წესრიგის დარღვევა, საგამოცდო პროცესის შეფერხება, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფა ან სხვა მსგავსი ქმედება;

თ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში გამოცდაზე გამოცხადება;

ი) ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც აფერხებს გამოცდის მსვლელობას ან მიმართულია გამოცდის პროცესის ჩაშლისკენ.

2. გამოსაცდელი გაფრთხილებას მიიღებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) დამკვირვებლისთვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა;

ბ) საგამოცდო პროცესის დროს საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება ან რაიმე ფორმით ერთმანეთის დახმარების მცდელობა;

გ) ნებადართული ნივთების გარდა სამუშაო მაგიდაზე სხვა ნივთების აღმოჩენა.

3. ერთი გაფრთხილების შემდეგ იმავე ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში გამოსაცდელი მოიხსნება გამოცდიდან.

4. გამოსაცდელი გამოცდიდან მოიხსნება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოცდაზე გამოყენების შემთხვევაში;

ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვა მასალების გამოყენების შემთხვევაში (გარდა წესით განსაზღვრული შემთხვევისა);

გ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო ადგილის უნებართვოდ დატოვების, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

დ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

მუხლი 5. გასაჩივრების უფლება

1. საგამოცდო დავალებებზე სამუშაო დროის ამოწურვის შემდეგ გამოსაცდელს გამოცდის დასრულებიდან 1 თვის ვადაში უფლება აქვს, წერილობითი ფორმით მოითხოვოს გამოცდის შედეგების ამსახველი კომპიუტერული ამონაბეჭდი.

2. გამოსაცდელს უფლება აქვს:

ა) სააგენტოში გაასაჩივროს გამოცდის შედეგები;

ბ) საჩივრით მიმართოს სააგენტოს, უსამართლო, არათანაბარი საგამოცდო პირობების ან/და გამოცდიდან უსაფუძვლოდ მოხსნის თაობაზე.

3. გამოსაცდელს გასაჩივრების უფლება აქვს:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, გამოცდის შედეგების გაცნობიდან 1 თვის ვადაში. გამოცდის შედეგების გაცნობად ითვლება გამოცდის საბოლოო შედეგის (ტესტური და პრაქტიკული დავალებების შედეგების) გაცნობა, ხოლო ტესტური დავალებების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, შედეგების გაცნობა ამ დანართის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესით;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევის დადგომიდან 1 თვის ვადაში.

4. სააგენტო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საჩივარს განიხილავს 5 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საჩივარს – 30 დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება პირს ეცნობება განცხადებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

მუხლი 6. გამოსაცდელის მიერ გამოცდაზე დაგვიანება და გამოცდაზე გამოუცხადებლობა

1. თუ გამოსაცდელი დაიგვიანებს ან თვითნებურად არ გამოცხადდება გამოცდაზე, მის მიერ გადახდილი გამოცდაზე დაშვების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას და ხელმეორედ გამოცდაზე დასაშვებად აუცილებელი იქნება სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვა და გამოცდაზე დაშვების საფასურის გადახდა.

2. გამოსაცდელს უფლება აქვს, არ გამოცხადდეს გამოცდაზე, თუ გამოცდამდე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მიმართავს სააგენტოს განცხადებით, რომლის საფუძველზეც მას შემდგომში აღარ მოუწევს საფასურის თავიდან გადახდა.

3. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში გამოცდის ვადის გადატანასთან დაკავშირებით გამოსაცდელმა სააგენტოს უნდა მიმართოს იმ დღის ბოლომდე, რომელზედაც გამოცდა ჰქონდა დანიშნული. სააგენტოში წარსადგენ განცხადებას თან უნდა დაურთოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა № IV-100/ა), რომლის საფუძველზეც გამოსაცდელს ერთჯერადად შეუძლია მოითხოვოს გამოცდის სხვა თარიღში გადატანა.

მუხლი 7. გამოცდის მსვლელობის შეწყვეტა

1. თუ გამოცდის მსვლელობას გამოსაცდელი დროებით წყვეტს უეცარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გამოსაცდელს გაცდენილი დრო არ დაემატება.

2. თუ გამოსაცდელი უეცარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შეწყვეტს გამოცდაზე მუშაობას, გამოცდის საბოლოო შედეგი დაანგარიშდება გამოცდის შეწყვეტის მომენტში არსებული გაცემული პასუხების შესაბამისად. გამოსაცდელს უარყოფითი შედეგის შემთხვევაში ხელმეორედ მოუწევს გამოცდაზე გასვლა და გამოცდის საფასურის თავიდან გადახდა.

3. თუ გამოცდის მსვლელობა დროებით წყდება სააგენტოს მიზეზით, გამოცდის ის დრო, რომელიც გაცდა, გამოსაცდელს დაემატება.

4. თუ გამოცდის მსვლელობა წყდება სააგენტოს მიზეზით, გამოცდა სხვა უახლოეს თარიღში გადაიწევს. გამოსაცდელი უფლებამოსილი იქნება საფასურის გადახდის გარეშე, ხელახლა მიიღოს გამოცდაზე დაშვების უფლება.

მუხლი 8. ტესტირების კომპიუტერული პროგრამა

ტესტირების კომპიუტერული პროგრამა ავტომატურად ინახავს გამოსაცდელის მიერ გაცემულ პასუხებს, რაც უზრუნველყოფს მისი შედეგების შენახვას ტესტირების ნებისმიერ ეტაპზე.